რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მეშათა პარტია
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 10 დეკემბერი 1917 წ.

ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები—რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гаюовская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". გაზეთი ღირს წლის ბოლომდი 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 52 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბალშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 52

პირველი ნოემბრიდან გაზეთი
ბრძოლა
გამოდის ყოველდღიურათ.

გაზეთის ფასი: წლის დამლევამდე ღირს 2 მ.
ერთი თვით „ 2 მ.
ცალკე ნომერი „ — 10 კ.
მეგაზეთეებს მიეცემათ ცალი 07 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება: 1) „ბრძოლის" და „კავკ. რაბოჩის" კანტორაში, თფილისი, გიორგის ქუჩა № 1.
2) ჩვენი პარტიის თფილისის ოთახიე ბიუროში.
3) ჩვენი პარტიის პროვინციის ყველა ორგანიზაციებში.

თფილისის ამხ. მუშებს და გაზეთის გამავრცელებლებს ვთხოვთ გაზეთი მოიკითხონ და გასავრცელებლათ წაიღონ სტამბიდან ყოველ საღამოობით, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. სტამბა—ამხანაგობა „ქართლი" ძველი სიმენარიის ეზოში, შესავალი ლორის მელიქოვის ქუჩიდან. რედაქციის ადრესი: თფილისი. გალოვის ქ. № 3.

ამხანაგებო! ხელი შეუწყვეთ ყოველმხრივ „ბრძოლას": მუშათა ორგანო მხოლოთ მუშებისავე ძალღონით და საშუალებით შეიძლება არსებობდეს.

ქუთაისის გუბერნიაში

მომქმედ ორგანიზაციების და ჯგუფების საყურადღებოთ, ქუთაისის რ. ს. დ. მ. პ. (მეუმრავლესობა) კომიტეტი აცხადებს, რომ ყოველივე მიწერ-მოწერა და ორგანიზაციების მუშაობის შეკავშირება-შეთანხმება ევალება ამხ. ვას. კანდელაკს. მისამართი მისი (Кутаисъ. Госпитальная № 26).

კონტრ-რევოლიუცია ჩრდილოეთ კავკასიაში.

ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდა ქ. გროზნოს და სად. ვუდერმესის მუშების და ჯარისკაცების საბჭოების მიერ გამოგზავნილი დელეგაცია. დელეგაციამ ინახულა ადგილობრივი ოფიციალური რევოლიუციონური ორგანიზაციები, ე. ი. მენშევიკების და ესერების საბჭოები და თვით ეგრეთ წოდებული ამიერ-კავკასიის მთავრობა—კომისარიატი. დელეგაციის წარმომდგენლებმა თავის მოხსენებაში აგვიწერეს ის უბედურება, ის საშინელება, რომელიც თავს დაატყდა ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში ქ. გროზნოს და მის ახლო-მახლო მდებარე რკინის გზის სადგურების მცხოვრებლებს. იმათ განიცადეს პირდაპირ ჯოჯოხეთის დღეები, ბევრი იმათგანი გამოასალმეს სიცოცხლეს და წაართვეს რაც კი გააჩნდათ, და ვინც გადურჩა მტაცებლებს, იმათი სიცოცხლე და ქონება არაფრით უზრუნველყოფილი არ არის. ამიტომ ქ. გროზნოს მუშების და ჯარისკაცების საბჭომ გადასწყიტა ქალაქის დატოვება და სხვ გან გადასახლება. ეს ნიშნავს გროზნოს ნავთის მრეწველობის და ვლადიკავკაზის რკინის გზაზე თითქმის ყოველივე მოძრაობის შეჩერებას. უკეთუ დაუყონებლივ არ იქნება მიღებული ზომები იმის წინააღმდეგ, რამაც მთელი ეს უბედურება გამოიწვია. რაშია საქმე? ვინ შეიქნა ამ უბედურების მიზეზი?

გროზნოს პროლეტარიატმა და გარნიზონმა თავი იჩინეს, როგორც ნამდვილმა რევოლიუციონურმა ორგანიზაციამ. გროზნოს მუშების და ჯარისკაცების დეპუტატების საბჭო მიემხრო სახალხო კომისარების მთავრობას, ე. ი. მან იცნო მუშების და გლეხების მთავრობა. სანტრეულსა, რომ ეს ახალი მთავრობა იცნეს ავრეთვე კაზაკების მახლობელმა სტანციებმა, ასე რომ კაზაკების მასსა თანდათან გადმოდის რევოლიუციის მხარეზე და ზურგს აქცევს თავის ატამანებს და გენერლებს, როგორიც არიან კალედინები და ბოგაევსკები. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩა კალედინის ერთგული თანაშემწის კადეტ კარაულოვის მხრით, რომელმაც თავის კონტრ-რევოლიუციონური მთავრობა დააწესა თერგის ოლქში, მის მიზანს რევოლიუციის მოსპობა შეადგენს. კარაულოვმა ვერ გაბედა პირდაპირ კაზაკების საშუალებით გროზნოს რევოლიუციონური საბჭოს თავიდან მოშორება. მან გამონახა უფრო შესაფერი გზა.

თერგის ოლქში კაზაკების გვერდით მოსახლეობენ ჩეჩნები და ინგუშები. ესენი ჯერ კიდევ ნახევრათ ველური ხალხია, იმათი მასსა უმეტეს ნაწილათ შეუგნებელია, და ძველი მთავრობა ფართოთ სარგებლობდა ამ შეუგნებელი ხალხით რევოლიუციონურ მუშების და გლეხების წინააღმდეგ. კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია და მემამულეები, რა კონტრ-რევოლიუციონერები იქნებოდენ, თუ ასეთი მასალით არ ისარგებლებდენ. კარაულოვმა მიიმხრო თავისკენ ჩეჩნების და ინგუშების მდიდარი ნაწილი აფიცრობითურთ, და მასას ჩააგონეს, რომ ქალაქში მცხოვრები მუშები და ჯარისკაცები ვითომც ჩეჩნების და ინგუშების ინტერესებს ეწინააღმდეგებოდენ. ამავე დროს იწყეს იმათი შეიარაღება, რაზეაც დახმარებას უწევდა ჩრდილოეთ კავკასიის კონტრ-რევოლიუციონერებს კარაულოვის მეთაურობით ეგრეთ წოდებული კავკასიის მუშების დ გლეხების ცენტრი, რომელშიაც ბატონობენ მენშევიკები და სოც.-რევოლიუციონერები დონსკოების, რამიშვილების და სხვ. მეთაურობით. ვლადიკავკაზსა და თბილის შორის სოც. რევ. ზვონარიოვის საშუალებით გაიმართა მოლაპარაკება რევოლიუციის ჩასაქრობათ ჩრდილოეთ კავკასიაში, რათაც ეს არ დაჯდომოდათ. ჩეჩნების და ინგუშების შეიარაღება თბილისიდან გაგზავნილი თოფებით და პატრონებით სწრაფათ ხდებოდა და როცა დარწმუნდენ, რომ ახლა კი შეიძლება საბჭოების დამარცხება, პროვოკაცია მოაწყვეს. 23—24 ნოემბერს ღამით მატარებელზე ვერაგულათ მოკლეს რკინის გზის რამდენიმე მუშა. ამან გამოიწვია დიდი აღელვება ქ. გროზნოს მუშებსა და ჯარისკაცებს შორის. ამავე დროს ქალაქ გროზნოში ალმოაჩინეს რამდენიმე ვაგონი თოფებით და ტყვია-წამლით დატვირთული და ჩეჩნებისთვის დანიშნული. აი ამით დაიწყო შეტაკება ჩეჩნებსა ერთი მხრით და ქ. გროზნოს წითელგვარდიელებს და ჯარს შორის მეორე მხრით. 25 ნოემბერს დიდძალი შეიარაღებული ჩეჩნობა მოაწვა ქ. გროზნოს და ალყა შემოარტყა, იმათი რიცხვი ათითასამდე მეტი იქნებოდა. ჩეჩნებმა ულტიმატუმი წარუდგინეს: წითელგვარდიელებისთვის იარაღის აყრა და ჯარის იარაღის აყრა და ქალაქიდან გასვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქის აკლება და ქლეტა მუშების და ჯარისკაცების საბჭომ გადასწყვიტა არ დანებებოდა, თუმც წითელგვარდიელების და სალდათების რიცხვი 2000 არ აღემატებოდა, ვინაიდან სულ ერთი იყო, თუნდაც რომ უბრძოლველათ დანებებულიყვენ, გამოროტებული ბრბო იმათ მაინც არ დაინდობდა. ბრძოლა გაგრძელდა რამდენიმე დღეს. ჩეჩნებმა გაანადგურეს ქალაქი, დახვრეს ახალი პრომისლები, აიკლეს, გაუპატიურეს, სიცოცხლეს გამოასალმეს მრავალი მცხოვრები. ქალაქში სიცოცხლე შეჩერდა, წარმოება ჩაკრა, გარნიზონი იძულებული შეიქნა დაეტოვებინა ქალაქი, მხიოლოთ იარაღ-დაუყრელათ. დღეს ქ. გროზნო თითქმის გაუქმებულია, ასე გვგონებათ თითქო ის ბუნების სტიქიას ჩაუნთქას. ამავე მდგომარეობაშია სადგ. გუდერმესი და რამდენიმე სხვა სადგურიც. მთელი არე მარე მოცულია შიშით და ძრწოლით, და შველა კი არსაიდან არის. საბჭომ ყოველგან, სადაც კი მიუწვდებოდა, დაგზავნა ტელეგრამები და აცნობა, რაც ხდებოდა, მაგრამ არსაიდან დახმარება არ ეღმოჩნდა. მხოლოთ ბაქოს მუშების და ჯარისკაცების საბჭომ გაგზავნა მისაშველებლათ 500 კაცისაგან შემდგარი რაზმი. მაგრამ ასეთი მცირე ძალა საქმეს ვერ უშველიდა. მეორე მხრით ვლადიკავკაზის საშუალებით თფილისში კავკასიის ცენტრმა ყველაფერი დაწვ-

მოწოდება გურიელ ამხანაგებისადმი.

11 ნოემბერს, დამფუძნებელ კრების არჩევნების წინაღიით რამდენიმე ს. დ. ბალშევიკის ინიციატივით ქ. ოზურგეთში შესდგა პირველი დამფუძნებელი კრება ადგილობრივი რ. ხ. დ. მ. პ. ბალშევიკების ჯგუფისა. ჯგუფი მოქმედებს და მის წინაშე მრავალი საჭირბოროტო კითხები ისმება, რომლებიც უკვე მოწიფებულია დღეს გურიაში და დაუყონებლივ ორგანიზაციულათ გადაჭრას მოითხოვს. ამასთან ერთათ გურიის სხვა და სხვა სოფელში გაფანტულია ბევრი ჩვენი ამხანაგი, რომლებიც ურყვნელი არიან ერთმანეთს და ამიტომ საერთო მოქმედობას აშორებულნი. დღევანდელი სპასუხისმგებლო მოვლენტა თვითეულ ჩვენგანს მოუწოდებს გამოეხმაურებოდეს და თავის წვლილი შეეტანოს საერთო საქმეში.

ყველა ზემოხსენებულ მიზეზების გამო ოზურგეთის ჯგუფმა რ. ს. დ. მ. პ. (ბალშევიკების) გადაწყვიტა მოიწვიოს ქ. ოზურგეთში ამა წლის 19 დეკემბერს, კვირას, დილის 11 საათზე კონფერენცია ყველა გურიაში მომუშავე ბალშევიკებისა. ჯგუფი იმედოვნებს, რომ ამ ხანაგები ყრუთ არ შეხვდებიან ამ მოწოდებას, აუცილებლათ მიიღებენ მხურვალე მონაწილეობას კონფერენციაზე და დაწყებულ საქმეს შესაფერათაც დაჟვირგვინებენ.

დღის წეს-რიგი:

1. მოხსენებები ადგილებიდან.
2. მიმდინარე მომენტი.
3. განწყობილება სხვა და სხვა პარტიებთან.
4. ჩვენი პრესა,
5. ორგანიზაცია.
6. სხვა და სხვა კითხვები.

P. s. ეს მოწოდება უმთავრესათ ეხება ორგანიზაციულათ შეუკავშირებელ გურიაში მომუშავე ბალშევიკებს.

მისამართი მოსალაპარაკებლათ ამხანაგებისთვის: ოზურგეთი, ქალაქის აფთიაქი.

ბიურო ოზურგ. ბალშევიკური ჯგუფისა.

რილებით იცოდა, რა განსაცდელი ქ. გროზნოს და მის ახლო-მახლო მდებარე სადგურებს თავზე დატყდათ. ამიტომ აშკარაა. რომ კავკასიის მუშათა და გლეხთა ცენტრის მოქმედება, იმ ცენტრის, რომელიც ჩვენ გვეელინება, როგორც რევოლიუციონური ორგანიზაცია, აშკარა კონტრ-რევოლიუციონურია. მან არათუ მიიღო ზომები მთელი ქალაქის მცხოვრებლების ქლეტის, რკინის გზის მოძრაობის და ნავთის მრეწველობის გადგილურების და შეჩერების წინააღმდეგ, არამედ ხელს უწყობდა ამ ბნელ საქმეს მით, რომ საშუალება მისცა ჩეჩნებს შეიარაღებულიყვნენ რევოლიუციონურ ორგანიზაციების წინააღმდეგ. ამნაირათ კონტრ-რევოლიუციის მეთაური ჩრდილოეთ კავკასიაში ბ. კარაულოვი არხეინათ განაგრძობს თავის ბნელ საქმეებს; კავკასიის მუშების და გლეხების ცენტრი მას დახმარებას უწევს და მასთან შეთანხმებით მოქმედებს. იმავე დროს მთელი სამრეწველო ცენტრი—ქ. გროზნა თავისი ნავთის მრეწველობით სულს ლევს, ვლადიკავკავის რკინის გზა, რომელიც შემაერთებელი ხიდია ამიერ-კავკასიასა და რუსეთს შორის და ურომლისოთ დღეს ჩვენ ერთ დღესაც ვერ შევძლებთ ნორმალურ ცხოვრებას, კარაულოვის მეთოხებით დიდ განსაცდელშია. რას იტყვის დღეს ამის შესახებ კავკასიის ცენტრი, რომელიც რევოლიუციონერობას ფიცულობს სიტყვით და საქმით კი კონტრ-რევოლიუციას უწყობს ხელს? ვის მხარეზე დადგება ის დღეს კარაულოვის თუ მუშების და გლეხების? ჩვენ რა თქმა უნდა, ვიცით, თუ სით-კენ არის მთელი მისი თანაგრძნობა. მაგრამ აქამდის ის ამას სხვა და სხვა მახინაციებით, დატყუებებით და თვალ-მაქცობით ფარავდა. დღეს კი ამას სავსებით დაფარვა შეუძლებელია. დღეს უნდა გამოირკვეს კონტრ-რევოლიციონერ კარაულოვს უჭერს ის მხარს თუ რევოლიუციონურ ორგანიზაციებს.

რუსეთისა და აღმოსავლეთის მშრომელ მუსულმანთა მიმართ.

ამხანაგებო! მშვიდობა!

დიდი ამბები ხდება რუსეთში: ბოლო ეღება ომს, რომელიც სხვისი ქვეყნების დასაპყრობად იყო გამოწვეული. უნდა დავეხმაროთ მტაცებელთა ბატონობა, რომელთაც მთელ ქვეყნის ხალხი დაჩაგრეს და მონობის უფელ ქვეშ ჰყავდ. რუსეთის რევოლიუციის მრისხანე ლახტის ცემით მონობის ძველი კედლები ინგრევა, მისი ცისკენ-სიმაგრე ძირფესვიანათ ირყევა, თვითნებობისა და მტარვალობის უკანასკნელი დღეები დათვლილია. ჩაღდება ახალი ქვეყანა, ქვეყანა მშრომელთა და განსათავისუფლებლათ გამზადებულითა. ამ რევოლიუციის სათავეში დგას რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობა, სახალხო კომისარების საბჭო. მთელი რუსეთი მუშების, სალდათების და გლეხების დეპუტატების საბჭოებით არის მოფელი. ძალა უფლება ხალხის ხელშია. რუსეთის მშრომელ ხალხს ამ ქამათ ერთი სურვილი აქვს: მოიპოვოს პატიოსანი ზავი და მთელი ქვეყნის ხალხთ დახმარება მისცეს, რომ მათ თავისუფლების დაპყრობა შესძლონ.

ამ წმინდა საქმეში რუსეთი მარტო როდია. დიდი ყიჯნა განთავისუფლებისა, რუსეთის რევოლიუციით დაწყებული აღმოსავლეთიდან ვიდრე დასავლეთამდე გაისმის, ომით მოქანცული, ილაჯ გაწყვეტილი ხალხები ევროპისა ხელს გვიწვდიან და ზავს უახლოვდებიან. დასავლეთის მუშები და სალდათები სოციალიზმის დროშის ქვეშ გროვდებიან და იმპერიალიზმის სისხლგრუნვი იერიშით მიდიან. ხოლო შორეული ინდოეთი, თვით ის ინდოეთი, რომელსაც „განათლებული“ ევროპის მტაცებელნი საუკუნეებით ჩაგრავდენ, დღეს აღსდგა და მას აჯანყების დროშა აღმართა; დეპუტატთა საბჭოები მოაწყო და ცდილობს მონობის უღელი კისრიდან მოიშოროს, აღმოსავლეთის ხალხთ თავისუფლებისათვის საბრძოლველათ მოუწოდებს. კაპიტალისტური მძარცველობის და ძალმომრეობის ტახტი ინგრევა, იმპერიალისტური მტაცებლების ფეხქვეშ ნიადაგი ირღვევა, ცეცხლი ინთება.

დღევანდელ დიად ამბების სახელით მოგმართავთ თქვენ, რუსეთისა და აღმოსავლეთის მშრომელნო, ღარიბო ხალხო მუსულმანებო! რუსეთის მუსულმანებო, ვოლგის მხრის და ყირიმის თათრებო, ციმბირისა და თურქესტანის, ყირგიზებო და სართებო, ამიერ კავკასიის თურქებო და თათრებო, მთიელებო და ჩეჩნებო კავკასიისაო. ყველა თქვენ, რომელთა მეჩეთებს და სამლოცველოებს ანგრევდენ და ანადგურებდენ, რომელთა სჯულსა და ზნე ჩვეულებათ რუსეთის მეფენი და მტარვალნი ფეხ-ქვეშ სთელავდენ.

ამიერიდან თქვენი სჯული და რწმენა, ზნე-ჩვეულება, თქვენი ეროვნული და კულტურული დაწესებულებანი ხელშეუხებელია და თავისუფალი. მოაწყვეთ თქვენი ნაციონალური ცხოვრება თავისუფლათ და დაუბრკოლებლივ. თქვენ ამის უფლება გაქვთ. იცოდეთ, რომ თქვენი უფლება ისე, როგორც რუსეთის სხვა ხალხებისა, რევოლიუციის მეობებით, მისი ორგანოების, მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ძლევამოსილებით არის დაცული.

დიდებით ეს რევოლიუცია და მისი სრული უფლებანი მთავრობა!

აღმოსავლეთის მუსულმანებო, სპარსნი და თურქნი, არაბნი და ინდოელნი, ყველა ისინი, ვისი სულითა და ხორცით, ვისი ჯონებითა და თავისუფლებით, ვისი სამშობლოით დღემდე საუკუნეების განმავლობაში ისე უსირცხვილოთ ვეპრობდენ გაუმაძღარი, ხარბი მტაცებლები ევროპისა, ყველა ისინი, ვისი ქვეყნების ურთიერთ შორის დანაწილება განუზრახავთ ახლანდელი ომის დამწყებ მძარცველთ.

ჩვენ საქვეყნოთ ვაცხადებთ, რომ ის საიდუმლო ხელშეკრულება, რომელიც რუსეთის მტარვალ მეფეს ჰქონდა დადებული ევროპის მტაცებლებთან, რომელიც მეფობის დამხობის შემდეგ ახალი მთავრობას კერენსკის ბეღერიყო აღიარებული და რუსეთის მიერ სტამბოლის დაპყრობას შეიცავდა, ამჟამად გაუქმებულია, სამუდამოთ მოსპობილია. რუსეთის რესპუბლიკა და მისი მთავრობა, სახალხო კომისარების საბჭო სპარსეთის ქვეყნების დატაცება—დაპყრობის წინააღმდეგია. სტამბოლი მუსულმანების ხელში უნდა დარჩეს.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ხელშეკრულება სპარსეთის ურთიერთ შორის განაწყლებაზე უკვე წაშალა და მოისპო. როგორც კი ომი შეწყდება, მაშინვე ჯარები სპარსეთიდან გაყვანილ იქნება და უხრუნველ ყოფილ იქნება უფლება სპარსეთის თავისუფალ თვითგამორკვევისა, რომ თავისი ბედ—იღბალი თვითონვე განაგოს.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ხელშეკრულება ოსმალეთის დაყოფაზე და მისთვის სომხეთის „წართმევაზე“ გაფქმებული და მოსპობილია. როგორც კი სამხედრო მოქმედება შეწყდება, სომხებს უფლება მიენიჭებათ თავისი პოლიტიკური მდგომარეობა თითონვე გამოარკვიონ.

რუსეთისა და მისი რევოლიუციონური მთავრობისგან კი არ მოგელით თქვენ ჩაგვრა—მონობა, არამედ ევროპის იმპერიალისტ მტაცებლებისგან; სწორეთ იმათგან, ვინც ახლა ომის გაგრძელებას ითხოვს, რომ თქვენი ქვეყანა ურთიერთ შორის დაიყონ, იმათგან, ვინც თქვენი სამშობლო გაძარცულ—გაპარტახებულ „კოლონიათ“ გადაიქცია.

ძირს ჩამოაგდეთ და დაამხვეთ ყველა ის თქვენი ჩვენების მძარცველნი და მტარვალნი! ახლა, როცა ომი, ეკონომიური არეულ-დარეული მძვინვარებს და ქვეყანას ძირფესვიანათ არყევს, როცა მთელ ქვეყანაზე იმპერიალისტებისა და მტაცებლების სიწინააღმდეგით ცეცხლია დენთებული, როცა ყოველი ნაპერწკალი აღშფოთებისა რევოლიუციის ძლიერ ალად იქცევა ხოლმე, როცა ინდოეთის მუსულმანებიც კი, რომლებიც დაბეჩავებული და ქედმოხრილი იყვენ უცხოთა ყიდულქვეშ, დღეს ჯანყების დროშას აფრიალებენ თავიანთი მჩაგვრელების წინააღმდეგ;—ახლა გაჩუმება არარ შეიძლება. ნუ დაბოყინებთ, დროს ნუ დაკარგავთ და ახლავე მოაშორეთ კისრიდან თქვენი ქვეყნის მპყრობელ მტაცებელნი და ნუღარ აძლევთ ნებას მათ, რომ თქვენი სამშობლო კერა განუკითხავთ ძარცვონ და ანადგურონ. თქვენ თვითონ უნდა გახდეთ პატრონ—ბატონი თქვენი ქვეყნისა. თქვენ თვითონ უნდა მოაწყოთ თქვენივე ცხოვრება მსგავსათ და ხატათ თავის. თქვენ გაქვთ ამისი უფლება, ვინაიდან ექვეყნები ბედი—თქვენ საკუთარ ხელთ არის...,

ამხანაგებო! ძმებო!

მტკიცეთ და შეურყეველათ მიეცხწრაფეთ ჩვენ პატიოსან დემოკრატიულ ზავისაკენ.

ჩვენს დროშებზე მთელი ქვეყნიერობის ხალხთა განთავისუფლება სწერია. რუსეთის მუსულმანებო!

მუსულმანებო აღმოსავლეთისა!

ამ გზით ქვეყნის განსაზღვრის საქმეში თქვენგან თანაგრძნობასა და მხარის დაჭერას მოვიელით.

ხალხის კომისარიატ ნაციონალური საქმეთა: ჯუღაშვილი—სტალინი სახალხო კომისარების საბჭოს თავმჯდომარე ულიანოვ (ლენინი).

სასჯელად გარეთ აღებული სესხი უნდა გაბათილდეს.

(იუ. ლარინის წერილი.)

1) ყველა სახელმწიფო ვალები, რომლებიც რუსეთმა საზღვარ გარეთ აიღო და აგრეთვე ის ვალებიც, რომლებიც მთავრობის თავდებობით არის აღებული საადგილმამულო ბანკებისა და რკინის გზებისაგან, დღეიდან გაბათილებულათ ჩაითვლება.

2) პირველ მუხლში ნახსენებ სესხებზე პროცენტების გადახდა და ანგარიშების გასწორება შეწყვეტილია.

3) გაუქმებულია ყველა ის ბილეთები, რომლებიც გაცემული სახელმწიფოსაგან შინაური სესხის გამო ან სახელმწიფოს თავდებობით და ამ კანონის გამოცემის დღის საზღვარგარეთ მყოფ მფლობელთა ხელშია.

შენიშვნა. რუსეთში დარჩენილი ის ბილეთები, რომლებიც კანონის მესამე მუხლში ნახსენები სახელმწიფო სესხისთვის აქვთ აღებული, უნდა წარდგინილი იქნას ბეჭდის დასასმელათ სახელმწიფო ბანკში, ან მის განყოფილებაში, ან კიდევ სახელმწიფო შემნახველ-გამსესხებელ კასაში არა უგვიანეს 1918 წ. 1 იანვარ-სა. 1 იანვრის მერე ბეჭედ დაუსმელის ბილეთები ძალას კარგავს და გაუქმებულათ ითვლება.

ასეთ დეკრეტის გამოცემა საზღვარ გარეთ აღებულ სახელმწიფო სესხის გაბათილებაზე სხვა და სხვა მიზეზების გამო აუცილებელია. საზღვარ გარეთის სესხზე, რომელიც ომის გამო უმთავრესათ ანტანტის ქვეყნებს ეხება, ჩვენ ძალდებული ვიქნებოდით ყოველ დღიურათ გვეხადა უცხოეთის კაპიტალისტებისათვის პროცენტისა და სხვა ანგარიშების დაფარვის სახით ასობით ათასი მილიარდ მანეთამდე. ეს წელიწადში თითეულ ოქაზზე 40 მან. გადასახადს შეადგენს. არაფერი არ ამართლებს იმას, რომ ჩვენ უცხოეთის კაპიტალისტების სასარგებლოთ ამოდენი ხარჯი ვიხადოთ. განა ის ცოტაა რომ მათთვის რუსეთის ხალხი ომში იყო ჩათრეული საერთაშორისო კაპიტალიზმისათვის, რომ კიდევ ამ სისაშინელებისათვის ჩვენ ბარჯი ვიხადოთ პროცენტების სახით მათდა სასარგებლოთ? საკმაოთ გადახდა რუსეთის ხალხს საკუთარი სისხლისა და ჯანის დაკარგვის სახით ბრძოლის ველზე და აგრეთვე საკმაოთ მილიეს მათ ჩვენგან წინა წლებში პროცენტების და ანგარიშების გასწორების დარჩა, იგი სამხედრო ზედმეტ მოვალების ანგარიშებში ჩაირიცხონ.

რუსეთის საზღვარგარეთის სესხი უმეტესათ მოთავსებულია ინგლისში, გერმანიაში და საფრანგეთში და ახლა საუკეთესო დროა, რომ იგი საბოლოოთ გავაბათილოთ. ამ სახელმწიფოების კაპიტალისტები ამ ჯამათ ხანგრძლივი ომის გამო ისე დასუსტებულია და ამ ნიადაგზე მუშების უკმეყოფილებაც იმდენათ ძლიერია, რომ ისინი სესხის გაბათილებით გამო სპეციალურათ ომს რუსეთს ვერ გამოუცხადებენ. სტატისტიკა ოყოგორც გვიჩვენებს, ეს სესხი უმეტესათ მსხვილი კაპიტალისტებისგან არის აღებული. ხოლო რამდენათაც ეს სესხი წვრილ მესაკუთრეების შეეხება, განსაკუთრებით საფრანგეთისას, იმდენათ საფრანგეთის კაპიტალისტების სახელმწიფოს დასპირდება მსხვილი კაპიტალისტების ხარჯზე წვრილ მესაკუთრეებს ხელდრო თავი და სარგებელი გადაუხადოს და ზარალი სავსებით აღუდგინოს. ეს საფრანგეთის კაპიტალისტების სამართლიანი ყარიბა იქნებოდა ომის მიზეზით და თუ ისინი ამაზე უარს იტყოდენ, მაშინ საფრანგეთის წვრილი მეწვიმფლობელნი მათ მამაპაპეული ადგილ-სამყოფელიდან აბარგებდენ და თავიანთ თავს მათ ხარჯზე თვითონ დაიმყოფელებდენ. რუსეთის მხრით მისი საზღვარ-გარეთის სესხის გაბათილება-გაუქმება, ეს თავისთავათ ცხადი და აუცილებელი პირობაა მომავალი ზავის. ამისთვის ამ ჟამათ ევროპის ბურჟუაზიის საზოგადოებრივი აზრი ისეთაც მომზადებულია და რუსეთისგან უკეთესს მაინც არ მოელის. რაც შეეხება პროლეტარიატს, ეს ცნობილია დელეგათა მეორე კონფერენციაზე კინტალში გამოაშკარავდა, სადაც მან ყველა ხალხებს მოუწოდა, რომ ყველა თავისი სამხედრო ვალები გა უქმოს და ამნაირათ ომისთვის გაღებული ხარჯები მხოლოთ ბურჟუაზიას დააკისროს. რევოლიუცია რუსეთის ხალხის მოდალატე ეწნებოდა, რომ ეს ასე არ მოახდინოს და ამ გზით საერთაშორისო კაპიტალიზმისგან მის თავზე ამძიმებული სახრჩობელა ხსნა არ აეშოროს.

ჩვენ რომ საზღვარ-გარეთის სესხი არ გავაბათილოთ, მაშინ ომის შემდეგ ჩვენ დაგვეპირდება ჩვენი სოფლებიდან საზღვარ-გარეთ გავზიდოთ უკანასკნელი კვერცხი და უკანასკნელი ფუთი ერბო, რომ ამ გზით ერთი მილიარდი ვალის სარგებლის გადახდა შევძლოთ. მხოლოთ საზღვარ-გარეთის ვალების მოსპობას, დაქრობას შეუძლია გაასწოროს ჩვენი საერთაშორისო ზერეული ანგარიშსწორების ბალანსი და აღადგინოს რუსეთის მეურნეობის ცხოველმყოფელობა და დავალიანების თავიდან აშორების ნიჭი ჩვენი ხომა ახლავე უნდა გატარდეს, ვიდრე ჩვენი. საქონლის ანგარიშსწორება მეტათ მცირეა.

რაც შეეხება შინაურ სესხს, წვრილ მესაკუთრეთ შემოსავალი და შემნახველ-გამსესხებელი კასები, რა თქმა უნდა ხელუხლებელი დარჩება, ხოლო მსხვილ მესაკუთრეთ შეეწერება მსხვილი გადასახადი. პირდაპირ მათი სესხის გადათილება უმიზნო იქნებოდა (ეს საადგილმამულო ღირებულებებსაც შეეხება, რაიცა მიწების ჩამორთმევის საქმესთან არის დაკავშირებული).

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რუსეთის მცხოვრებთა ფართო მასსა სიხარულით მიეგებება რუსეთის განთავისუფლებას ცუნეთის კაპიტალიზმის ყოველ წლიურ მილიარდიან ხარკისგან და მასში რევოლიუციის კიდევ ერთ დიდ გამარჯვებას დაინახავს.

მენშევიკების საქმიანობა.

გამოკვანა: ორნი არიან, ტოლნი არიან, ერთათ მიდიან, მიიწევიან.

ახსნა: ბურჟუაზია და მენშევიკები

ოქტომბრის რევოლიუციამდე საბოლშევიკოს ძალა-უფლება ორ მოძრეთა შორის იყო განაწილებული; ეს ორი მოძრე იყო „ობორონცები“ მენშევიკთა მეთაურობით და ბურჟუაზია. ეს უკანასკნელი მენშევიკებს თავისდა საბარგულოთ იყენებდა: დროებით მთავრობაში მილიუკოვი ცდილობდა ბოლშევიკების დამარცხებას, თორემ წერეთელს მინისტრობას თამამათ ეგუებოდა. წერეთელს ბურჟუაზიული პრესა მოქმედ ხელისუფლებას უსვამდა, ცუდათ არასოდეს არ იხსენიებდა. ამის მიზეზი სწორეთ ის იყო, რომ წერეთელი მარწყვენა ხელი იყო გაკადნიერებულ კერენსკისა, რომ ის, შენებულათ იყო თუ არა, ხელს უწყობდა ბურჟუაზიის პოლიტიკური გეგმების ხელში ჩაგდებაში... წერეთელი კარგათ ხედავდა ბურჟუაზიის მისწრაფებას ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისა და თავის მხრივაც ცდილობდა არაფერი ეწყენინებინა მისთვის, რომ ბურჟუაზიის გული საბოლოოთ მოეგო, წერეთელმა მოსკოვის თათბირზე გული ჩაიკრა ბუბლიკოვი, გრძობიარეთ მას ხელი ჩამოართვა და ამით დაუმტკიცა თავის ერთგულობა, რამაც ბურჟუაზიის მესვეურთა მხრივ დიდი ტაშის ცემა და ოვაციები გამოიწვია. განსაკუთრებით დღეს, როდესაც ფარდა აიხადა დიპლომატიის საიდუმლო მოქმედებას, ყველასათვის ცხადი შეიქნა, თუ რამდენათ იცავდა კერენსკ-ტერეშჩენკოს მთავრობა ომის ბოლომდე მიყვანის ლოზუნგს.

თავისი უმოქმედობით და რევოლიუციონური აღელთს დაკარგვით მენშევიკებმა სიმაგრე მოუმზადეს კორნილოვის ავანტიურულ შეთქმულებას და ამ გვარათ რევოლიუციას საფრთხეში ჩააგდეს. კორნილოვშინას შემდეგ ყველასათვის ცხადი შეიქმნა, რომ ბურჟუაზიამ სანდოდ მოიკალათა კონტრ-რევოლიუციონერთა ბანაკში, მაგრამ მენშევიკებმა ვერც კონტრ-რევოლიუციონერ ბურჟუაზიის მომდურება შეისძლეს და წერეთლის ზეგავლენით დემოკრატიულმა საბჭომ სახელმწიფოს საქე კვლავ კადეტებს გადასცა და ამ გვარათ რევოლიუცია ახალ კორნილოვშინის საფრთხეში მოაქცია. 12 ივლისს სამხედრო ცენზურა შემოიღეს, 13-ში კი სოკვდილის დასჯა აღადგინეს ფრონტზე. ამას ზედ დაუმატეთ ისიც, რომ სამხედრო და შინ გან მინისტრს ნება ეძლეოდათ დაეხურათ და აეკრძალათ კრებები და „სიეზდები“, ადმინისტრატიულათ დაესაჯათ და გადაესახლებინათ ყველა მათთვის არა სასიამოვნო პირები და სხვა. და ყოველივე ამას ჩადიოდა არა „რასპუტინის“ მართველობა, არა სტოლიპინის რეჟიმი, არამეთ დრ. მთავრობა განახლებული რუსეთისა, რომელშიდაც შედიოდენ ავგორეთვე მენშევიკების წარმომადგენელნიც. რას გვერჩოდენ მენშევიკები? მათ მაინც რაღა ქონდათ ჩვენთან გასაყოფი? ჩვენ გვებრძოდენ ისინი, როგორც მოკავშირენი ბურჟუაზიისა, ვინაიდან ჩვენ ამ კონტრრევოლიუც. ძალას ვერ ვურევდებით და დაუყონებლივ ბრძოლას ვუწეოდით მის წინააღმდეგ. ჩვენ გვაწამებდენ მხოლოდ მისთვის, რომ სამოქალაქო ზავს არ ვიზიარებდით და რევოლიუციის გარდაქმნებისთვის კლასობრივი ბრძოლით ცდილობდით კონტრრევოლიუციონერ ბურჟუაზიის ძალის დატუქსვას და ჩაჩენებას. ჩვენ გვდევნიდენ მენშევიკები, ვინაიდან ვცდილობდით სახელმწიფოს ძალა-უფლება კონტრრევოლიუციონერ ბურჟუაზიულ დროებით მთავრობისთვის გამოგვეგლიჯა და ჭეშმარიტ რევოლიუციონერ დემოკრატიულ საბჭოებისთვის გადაგვეცა. რასაც დღეს უკვე მივაღწიეთ. მენშევიკები ბრაზდებოდენ ბურჟუაზიასებურათ, რომ ჩვენ პირდაპირ ნაბიჯს ვდგამდით სოციალიზმისაკენ. ეი ყოველივე ამაებისთვის ლენინს და მის ამხანაგებს ეპატიმრებდენ, მაშინ, როდესაც პირიშკევიჩ-მასლენიკოვები თავისუფლათ დატარეშობდენ და ამზადებდენ კონტრ-რევოლიუციონერ შეთქმულებას. ამის შემდეგ, რატომ არ წყნარდებიან მენშევიკები, როდესაც ისინი თავიანთ თავს წმინდა მარქსისტებათ ნათლავენ და ჩვენ კი ანარქისტებათ გვთლიან? თურმე ნუ იტყვით, ჩვენ სწორეთ მარქსიზმი გვაკლებდა რათა ბურჟუაზიასთან ხელი ხელ ჩაკიდებული გვეცეკვა და ხელი შეგვეწყო რევოლიუციის მარწყვივე გადახრისთვის, რასაც სჩადიოდენ მენშევიკები.

ეი ეს იქნებოდა თურმე რევოლიუციის სამსახური. მაგრამ კმარა. მენშევიკების საქმიანობა ქვეყანამ იხილა და უკვე დასდო მას თავისი მსჯავრი. მენშევიზმმა უარყო რევოლუცია, რევოლიუციამ უარყო მენშევიზმი.

წვეული X.

მიტინგი

(ჩრდ. კავკ. დელეგაციის მოხსენება).

მთავარ სახელოსნოში მოხდა მიტინგი 6 დეკემბერს. მიტინგის მოწვევის მიზეზი იყო ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული დელეგაცია. ეს დელეგაცია დილის ათ საათზე მოვიდა დეპოში მთავარ სახელოსნოს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის წევრის თანხლებით და ეძებდენ დეპოში კრებას, სადაც მოხსენება უნდა გაეკეთებინათ. დეპოში კრება იყო დანიშნული ოთხ საათზე ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ გაგვეადგილებია დელეგაციისთვის მოხსენების გაკეთება. სამ საათზე გუდოკზე შეგვეკრიფა ხალხი, მთავარ სახელოსნოს, დეპოს და ვაგონნი პარკის ერთად. ასე გადავწყვიტეთ. დელეგაცია წავიდა ქალაქში სამ საათამდის სხვა საქმის გასაკეთებლათ იმ პირობით, რომ სამ საათზე უსათუოდ უნდა ყოფილიყვენ დანიშნულ ალაგას, რაც შეასრულეს კიდეც. ჩვენ ეგ ამბავი შევატყობინეთ აგიტ-ბიურობრივ კომიტეტს და დავავალეთ, რომ დანიშნულ დროზე მიტინგი მოეწყოთ. ადგ. აღმ. კომიტეტის წევრებმა ეცნეს თვალით შეხედეს ამას, რადგანაც ბალშევიკები ხელმძღვანელობენ, და უარი გვითხრეს. ჯერ ჩვენ უნდა გავიგოთ რა ხალხია და რაზე უნდა ილაპარაკოს დელეგაციამ და მერე მიტინგს დავნიშნავთო. ჩვენ ბევრი უმტკიცეთ, რომ დელეგაციი მუშებს არას დაუშავებს და იგი შესდგება მუშებისაგან, როგორც ბალშევიკებისგან, ისე მენშევიკებისგან და ესერებისაგან. დიდი ბრძოლის შემდეგ, როგორც იყო დავითანხმეთ. მიტინგი გაიხსნა სწორეთ სამ საათზე, დელეგაციამ დაასწრათა ჩრდილოეთ კავკასიის უმწეო მდგომარეობა. დელეგაციამ ერთხმათ აღიარა: ჩაჩნები არიან შეიარაღებული რეგულიარულ ჯარზე უფრო კარგათ, აქვთ საუკეთესო თოფები, ტყვიამფრქვევლები და პატრონები, რამდენიც უნდათ. ამ ჩაჩნების შეიარაღებას ხელმძღვანელობენ რამდენიმე მილიონერი, კარაულოვი, კრაეროი კომიტეტი და დონსკოი. მაგალითად, ერთი ეკითხება მომხსენებელს: საიდან მოდის იარაღიო? ორატორი უპასუხებს: თქვენგან, თფილისიდგანაო. რაც ხალხს ძალიან აღელვებდაო. ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში, მოჰკლეს ორი სალდათი, დასჭრეს რამდენიმე მუშა და ცარცვა-გლეჯას ხომ ანგარიში არა აქვს.—24 თუ 25 ნოემბერში ხალხს შეუწინავს საეჭვო ვაგონი, მისულან, გაუსინჯავთ და ღრმოჩენილა იარაღი: რამდენიმე ვინტოვკა და პატრონები, რასაც ყარაულობდა რამდენიმე ჩაჩანი თქოვების მეთაურობით: ეს თქოები ერთი კარაულოვის კომპანიონთაგანია. ხალხის აღელვება უკიდურეს წერტილამდის აღწევს. ხვალიდმეს იარაღის დატაცება მაგრამ ამ დროს ჩაჩნები ისვრიან მაღლა და ხალხი იფანტება. მეორე მხრიდან გაჰკრიდება თოფი და თქოები იტრება სასიკვდილოთ. თქოები მოკლა ყაზახმა, ამბობს ორატორი და აქედან იწყება ტრაგედია. რამდენიმე ათასი კაცი ჩაჩნები მდიდრების მეთაურობით ესხეა ქალაქ გროზნის და იკლებენ, ნავთის ჭებს უკიდებენ ცეცხლს, მცხოვრებლებს ხოცავენ, ცარცვავენ, ატიტვლებენ ქალებს, ბავშვებს. ვინც სახლებში ჩაიკეტა და გარეთ არ გამოდის, ამისთვის ბრბო თავს არ იწუხებს, მოაქვთ ნავთი ასბაშენ სახლს და უკიდებენ ცეცხლს და, როცა ცეცხლმოკიდებულ სახლებიდან გამორბიან მუშები და მათი ცოლ-შვილი, ესვრიან თოფებს და ხოცავენ ჩიტებივით. ეს ნადირობაა მუშებზე გაბოროტებული მდიდრების ბნელი ხალხის საშვალებით. დაანგრიეს რკინის გზები, დასწვეს სადგურები.

არ ინდობენ არავის, დაიტაცეს ქალები და წაიყვანეს, არავინ იცის სად. ეი ასე ასურათებს დელეგაცია ჩრდილოეთ კავკასიის ამბებს და განსაკუთრებით ქ. გროზნისას, სადაც 50,000 მუშა მუშაობდა ნავთის ჭებზე და ახლა ალარ დარჩა არც ერთიო. 7.000 დარჩენილა უსახურავოთ, ულუკმაპუროთ, უტანსაცმელოთ, გაათავა ორატორმა.

ამ დროს თავმჯდომარე აცხადებს, რომ აღმასრულებელი კომიტეტის წევრს უნდა რიგს გარეშე განცხადება გააკეთოსო. ადის ტრიბუნაზე აღ. კომ. წევრი და იწყებს არტისტულათ ლაპარაკს: ჩვენი იმედი, ჩვენი ბედნიერება, ჩვენი გამომყვანი ყველაფერი გაჭირვებისგან, რომელსაც ასე მოელოდა კატაბრიობა, ძლივს გვეღირსა და ახლა, როგორც ამბავი მოგვივიდა, გაურეკიათო. ალბათ კადეტური იყოო—მოისმის ხმა მუშებისაგან. ორატორი ამბობს: როგორიც უნდა იყოს, კადეტური თუ არა, ერთნაირათ ხელშეუხებელიაო. მაშინ ატყდა ხმაურობა. ბევრი ამბობს ეგ ვიღაცაა, მოურობა. ბევრი ამბობს ეგ ვიღაცაა, მოსყიდულიაო, უნდა მატინგი ჩაგვიშალოსო, თორემ რას ნიშნავს—კადეტური დამფუძნებელი კრების გარეშეო არ შეიძლებაო. ამას გარდა, ჯერ არც კი ვიცით, გარეკილია თუ არაო. ბევრ კაცით, გარეკილია თუ არაო. ბევრ კადეტები კარაულოვის მეთაურობით მუშებს რომ სწყვეტენ და მათ საბჭოებს ანადგურებენ, რატომ ამაზე ორატორი ხმას არ იღებსო. კადეტებზე მტირალ ორატორს გააწყვეტინეს ლაპარაკი და ჩამოაბრძანეს ტრიბუნიდან.

ვ. ჩხეიძე.

ჯარის კაცის წერილი.

მენშევიკები და მისი ამყოლი პარტია ფსევრები თავის ბურჟუაზიულ გაზეთებში მუდამ იმას გაიძახიან, ჯარის კაცები ომითომ უჯერს და ემხრობა ბოლშევიკებს, რომ მათ სწყურია ზავი და ამას კი ბოლშევიკები პირდებიანო. ეხლა გეკითხებით თქვენ, მენშევიკ-ისერებო! თქვენ რას გვპირდებოდით კონტრ-რევოლიუციონერ მთავრობასან ერთათ? იყო თუ არა პირველი, საკითხათ წამოყენებული ზავის რასაკვირველია იყო, მაგრამ რვა თვის განმავლობაში თქვენ და კონტრრევოლიუციონერმა მთავრობამ ერთი ნაბიჯიც ვერ გადადგით ზავის სასარგებლოთ. მხოლოთ ეხლა, როდესაც პროლეტარიატი და რევოლიუციონური ჯარი ჩამოგშორდათ და გაკოტრებულათ გრძნობთ თავს, გზა-კვალ არეულნი ცდილობთ ჩარჩი მოსცხოთ რევოლიუციონურ ჯარს და პროლეტარიატს; ეს ის რევოლიუციონური ჯარია და პროლეტარიატი, რომლებმაც ერთი ხელის დაკრთით დაანგრიეს ძველი დამყაყებული თითმპყრობელობა და მოიპოვეს პოლიტიკური თავისუფლება. დღეს კი პროლეტარიატი და ჯარი ირაზეა ინტერ-ნაციონალური დროშის ქვეშ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, რომ ბოლო მოულონ ბურჟუაზიის ბატონობას. ამ დროს თქვენ, ამის მაგივრათ რომ მათთან ერთათ მხურვალე მონაწილეობას დებულობდეთ რევოლიუციაში, განზე გამდგარხართ და ცდილობთ სახელი გაუტეხოთ რევოლიუციონურ ჯარს და პროლეტარიატს. მაგრამ არ დაივიწყოთ რომ თქვენ მიზანს ვერ მიაღწევთ. ჩვენ კი, ჯარის კაცები, რომლებსაც ბრმა იარაღათ გვთვლით, ვითომ ჩვენ ბოლშევიკების ჯიბიდან ველოდეთ ზავს, როგორც თქვენ ცდილობთ დაამცროთ რევოლიუციონური ჯარი, ჩვენ მუდამ მზათ ვართ უკანასკნელს სიცოცხლის წვეთამდი დავიცვათ ბოლშევიზმი, რომელიც მუდამ გაიძახის: მთელი ძალა უფლება საბჭოებს, რაც უკვე განხორციელდა რუსეთში. ამისათვის, უკეთესია რევოლიუციონურ ჯარს ბრძა იარაღათ ნუ სთვლით, თორემ ასეთ თქვენს სტატიას არ დავიწყებს ისტორია და გამარჯვებული ხალხი პასუხს მოგთხოვს თქვენი უმგვანო მოქმედებისათვის. ბოლშევიკებმა კი გამარჯვების დროს

ააფრიალეს, ორი კვირის განმავლობაში გაკეთდა ის, რაც თქვენმა კონტრ-რევოლიუციონურმა მთავრობამ ვერ შესძლო. ამას კარგათ ხედავს დღეს ჯარი და ამიტომ მზათ არის იბრძოლოს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. გაუმარჯოს ბოლშევიკებს! გაუმარჯოს პროლეტარიატს, გაუმარჯოს რევოლიუციონურ ჯარს, გაუმარჯოს სოციალიზმს.

ჯარის კაცი დოლიძე.

თფილისის მუშათა და სალდათთა საბჭოს დეპუტატების სხდომა.

6 დეკ. მოხდა თფ. სალდათთა სექციის კრება. დღის წესრიგში იდგა კითხვა საბჭოს სალდათთა სექციის აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნები. სულ განსაზღვრულ სექციის კრებას დაესწრენ 230 ახლათ არჩეული დეპუტატი. საერთოთ გარნიზონიდან არჩეულია 320-დე დეპუტატი. აღმასრულებელ კომიტეტში ასი დეპუტატი ირჩევენ 15 კაცს, ყველა დეპუტატებიდან უნდა აირჩიოთ 45-50 აღმ. კომიტეტის წევრი. ამ კრების დამახასიათებელია ის, რომ იგი თითქმის ყველა კითხვებში დაიყო ორ ბანაკათ: ერთი მხრით—მემარჯვენე ბლოკი, რომელიც აერთიანებდა ყველა ფრაქციას, დაწყებული მენშევიკებიდან და გათავებული კადეტებით; მეორე მხრით—მემარცხენე ფრთა, შემდგარი მხოლოთ ბალშევიკებიდან.

არჩევნები აღმ. კომიტეტში უნდა მოხდარიყო პროპორციონალურ სისტემით, ე. ი. თითეული ფრაქცია ირჩევს იმის და მიხედვით, თუ რამდენი დეპუტატი ითვლება მასში. დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია ერთმა ახალმა, სრულიათ მოულოდნელმა კითხვამ, მემარჯვენე ბლოკის მიერ წამოყენებულმა: აქვს თუ არა კრებას ჭეშტება, აღმ. კომიტეტში აირჩიოს გარეშე პირები, არა დეპუტატები. საქმე იმაშია, რომ ძველი სტატუტის (წესდების) თანახმათ, რომელიც დამტკიცებული იყო ძველი მუშ. და სალ. საბჭოს მიერ, შეიძლებოდა აღმ. კომიტეტში გარეშე პირების (მაგ. რევოლიუციონურ ორგანიზაციების წარმომადგენლების) არჩევაც. წინათ, მაგალითადამე, ობორონცებმა საჭიროთ დაინახეს ამ მუხლის უსტავში დატოვება მთელი ცხრა თვის განმავლობაში, ახლა კი ფრონტი იცვალეს, ვინაიდან არ უნდოდათ აღმასრულებელ კომიტეტში სალდათთა მასას გაეყვანა ზოგიერთი ბალშევიკები, რომლებიც სიაში იყვენ მოთავსებული.

კამათის დროს ობორონცებმა ვერც ერთი სერიოზული საბუთი თავის პოზიციის გასამართლებლათ ვერ წამოაყენეს. ისინი ჩაებღაუჭენ მხოლოთ ერთ უსუსურ მოსაზრებას: თუ საჭირო იქნება, აღმასრულებელი კომიტეტი კოოპტაციის საშვალებით მოიწვევს სასურველ პირებსო. დანარჩენი მათი საბუთები იყო მხოლოთ დემაგოგიური: მასსამ თავის წრიდან უნდა აირჩიოს და სხ.

ბალშევიკ-ორატორებმა სულ ადვილათ დაარღვიეს ობორონცების ახალ გამომცხვარი „საბუთები“, მეტადრე კოოპტაციის შესახებ და განაცხადეს შემდეგი: ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ აღმასრულებელ კომიტეტში, როგორც უაღრესათ პოლიტიკურ ორგანოში, მოხვდენ ნამდვილი რევოლიუციონური მუშაკები, სოციალისტურ-რევოლიუციონურ პარტიების წარმომადგენლები, სულ ერთია:—ესენი სექციის წევრებია თუ არა. სასურველია ასეთი პირების პირდაპირ მასის მიერ, ძირიდან არჩევა, ეს იქნებოდა ნდობა, ხალხის მხრ გამოცხადებული. კოოპტაცია კი ნიშნავს მოწვევას, მოპატრეტებას, ზევიდან დანიშვნას და როგორც ასეთს, არასოდეს არა აქვს საქმაო პოლიტიკური მნიშვნელობა და სიმძიმე.

მარა არაფითარმა არგუმენტებმა ობორონცულ ბლოკზე არ იმოქმედა. და მათ ცოტა ხმის უმეტესობით (115 მათი მომხრე, 105-ჩვენი) გაიყვანეს თავისი: სტატუტის მუხლი, რომელიც შემუშავებული და მიღებული იყო ორივე სექციის (მუშების და სალდათების) მიერ (ამ სერიოზულ ფორმალურ მხარეზედაც ბევრჯელ მიუთითეს ბალშევიკებმა, მარა ამაოთ), გაუქმებულ იქნა, მხოლოთ ერთი სექციის, ობორონცული მცირე უმეტესობით.

მეორე კითხვათ გადაიქცა ჩრდილო კავკასიის „დელეგაციის რიგს გარეშე მოხსენება. მთელმა კრებამ დიდი ყურადღებით და აღელვებით მოისმინა შეშაძრუწუნებელი და აღმაშფოთებელი ამბები კალედინ-კარაულოვ – დონსკოის მიერ შედგენილ ბარბაროსულ ურდოების, ჩაჩნების და სხ. მხეცური თარეში ჩრდილო კავკასიაში (გროზნი, ვლადიკავკაზი, გუდერმესი, პეტროვსკი და სხ.) დელეგაციამ მოითხოვა ამიერ კავკასიის ცენტრიდან დაუყოვნებლივი დახმარება ჯარით და იარაღით.

ამხ. ცხაკაიამ დელეგაციის მოხსენების შემდეგ ცხარე და გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა, რითაც სასტიკათ გაკიცხა ამიერ კავკასიის ობორონცების მოღალატობრივი ტაქტიკა, რომელმაც ხელი შეუწყო კონტრ-რევოლიუციის თარეშს ჩრდილო კავკასიაში.

დასასრულ ბალშევიკების წინადადებით გამოტანილ იქნა თითქმის ერთხმათ დადგენილება დაუყოვნებლივ დახმარების შესახებ და არჩეულ იქნა კომისია (8 კაცი) პარიტეტულ საფუძველზე (ოთხ-ოთხი თვითეულ ბანაკიდან: ბალშევიკური ფრაქცია და ბლოკი). ამ კომისიას დაევალა: ფიცხლავ შეუდგეს ზომების მიღებას დაუყოვნებლივ დახმარების მისაწოდებლათ აწიოკებულ ჩრდილოელთისათვის. ამისთვის მიმართოს კატეგორიული მოთხოვნით. ობორონცულ ცენტრს. ეს კომისია ამ ღამესვე შეუდგა მუშაობას.

P. s. არჩევნები აღმ. კომიტეტში დამთავრდა 8 დეკემბერს. შედეგები ასეთია: 23 წევრი ბალშევიკებიდან, 27 ობორონცულ-ნაციონალისტურ ბლოკიდან.

რუსეთის ქრონიკა.

ახალი დოკუმენტი კორნილოვის მოღალატეობის ბარათ ფასჩოტის წერილი ბარათ სონინოსადმი რამში (ოტკლაბნერიდან).

დიამანდი დეპეშით ატყობინებს ბრატაიანოს მთავარ ბანაკიდან, სადაც ახლა იგი იმყოფება; იგი ამ ჟამათ პირდაპირ მაგთულით სარკებლობს, რომელიც რუმინიის ფრონტზე მდგომ რუსის ჯარებსა და მათ მთავარ ბანაკს შუა არის გამართული. დეპეშებით იგი იტყობინება რუსეთის მთავარ სარდლის, კორნილოვის ნათქვამს, გენერალს (კორნილს) მისთვის უთქვამს, რომ რიგის დაკარგვას დიდ მნიშვნელობას ნუ მისცემენო; ამას გენერალმა დასძინა თურმე, რომ რუსის ჯარების მიერ რიგის დატოვება მისი განკარგულებით მოხდა და ეს იმიტომ, რომ მან ჯარის დაკარგვას ტერიტორიის დაკარგვა არჩია. გენერალი კორნილოვი ამას აგრეთვე იმ მნიშვნელობასაც აძლევს, რომ რიგის დაკარგვა საზოგადოების აზრს დიდათ შეცვლის და რუსის ჯარშიაც სასტიკ დისციპლინის დაუყონებლივ დამყარებას ხელს შეუწყობს.

ქ. იასსი (რუმინია)
22 აგვის. —1917.

პეტროგრადის საქმდაქო საბჭოს
ახალი არჩევნების შედეგი.

ამ არჩევნებში ბალშევიკების პარტიამ ბრწყინვალეთ გაიმარჯვა..

აგვისტოს არჩევნებზე მან მიიღო 180 ათასი ხმა, ახლა კი—ორჯერ მეტი, ე. ი. 360 ათასი. სულ ხმის მიმცემთა რიცხვი 400 ათასი იყო. ასე რომ ახალი საბჭო წმინდა ბალშევიკური. პირველი სხდომა გაიმართა 1 დეკემბერსო.

მოლაპარაკება ზავზე.

19 ნოემბერს ბრესტლიტოვსკში დაწყებული მოლაპარაკება გერმანიის და ავსტრიის გენერალიტეტის ჯიუტობამ შეწყვიტა. ხელ ახალი მოლაპარაკება დაიწყო 30 ნოემბერს ისევ იმავე ქალაქში,—(ბრესტლიტოვსკში.) მოლაპარაკება ეხება სამ საგანს: 1) ჯარის ნაწილების გადაყვან-გადმოყვანა, 2) საზღვაო კითხვები, 3) დაძმობილების პირობები. პირველ-კითხვაზე მოპირდაპირეებმა თავისი წინადადები ფორმულა გაიმეორეს და მოითხოვენ იმასვე, რისთვისაც პირველი მოლაპარაკება შეწყვიტეთ. დაძმობილების შესახებ რამდენიმეთ შეცვალეს პირობა, რასაც სიტყვა-სიტყვით გადმოგცემთ; დანარჩენ კითხვებს-შემდეგ სხდომაზე შევეხებით.

ჩვენ შემდეგი წინადადება წარვადგინეთ, რომელიც მოპირდაპირეებმა პრინციპიალურათ მიიღეს. ამ წინადადებით ორივე მხარემ დაუყონებლივ ზომები უნდა მიიღოს, რომ დაჩქარებით განთავისუფლებულ იქმნენ და სამშობლოში დაბრუნდნენ: სამოქალაქო ტყვეები, ტყვე ინვალიდები და ქალები, აგრეთვე 14 წლამდე ბავშვები. ორივე მხარე უნდა შეეცადოს, რომ ტყვეების მდგომარეობა აქედანვე გაუმჯობესებული იქნეს.

რუსეთის წარმომად. კარახანი.

საზღვარ-გარეთ.

რევოლიუცია შორტუგალიაში.

ევროპის და მთელი ქვეყნის საერთაშორისო ომმა მიაღწია იმ კრიტიკულ წერტილს, როდესაც იგი შიგნიდანვე იმსხვრევა და გადადის სხვა ფორმაში. იმპერიალისტურ ომის პრინციპი თანდათან ეცემა მშრომელთა მასსაში, იგი გამოდის ბურჟუაზიულ ნარკოზიდან და თვის კლასიურ ინტერესების განპორციელებას უდგება: იმპერიალისტურ ომის მაგივრათ დაწყება ომი, დაუნდობელი ომი ბურჟუაზიის და პროლეტარიატის შორის; ვინც გაიმარჯვებს ის მოაწყობს თავის ინტერესებისამებრ წეწარმოების და განაწილების პირობებს. ერდმა უნდა გაიმარჯვოს, მეორე დამარცხდეს. ამ პროლეტარულ საერთაშორისო ომის სუნი უკვე ისმის დასავლეთ ევროპაში და შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩვენ გავხდებით მისი მოწმენი.

მოიგონეთ ვილჰელმსჰაფენის მეზღვაურების აჯანყება, ვენაში, ბუდაპეშტში გამართული სახალხო დემონსტრაციები, ციურიხის პროლეტარიატის გამოსვლა, რომელიც იარაღით ხელში ჩაჰქრეს.

მაგრამ ხიშტებით ისტორიულ აუცილებლობას ვერ გაუმკვლავდება ვერავინ, მისი ჩაქრობა შესაძლებელია მხოლოდ დროებით.

მტკიცე ნება რევოლიუციონურ პროლეტარიატის აქტიური მოქმედების ხანის შიგადაგან ტრუსეთის რევოლიუცია არის პირველი მერცხალი საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის.

ახლა პორტუგალიიდან მოვიდა ცნობები, რომ იქ შესდგა რევოლიუციონური კომიტეტი, რომელშიაც შედიან პროლეტარიატის მოწინავე მოღვაწენი. გამოცხადებულია სამხედრო წესები.

ლისაბონიიდან შემდეგი დეპეშა მოვიდა. სამი დღის ბრძოლის შემდეგ ქალაქის ქუჩებში, მთავრობის ჯარები დამარცხდენ და დანებდენ (რევოლიუციონურ ჯარებს). მთავრობა გადადგა.

ეს რევოლიუცია მტკიცე პროტესტია იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ.

ლ. ა—ი.

ᲙᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ

ხ. გუხი. როგორც სხვა სოფლებში, ისე სოფ. გუბშიაც დასრულდა დამფუძნებელი კრების არჩევნები. აქ არჩევნები სოციალ-დემოკრატ-ბალშევიკების სრული გამარჯვებით დამთავრდა. ბალშევიკებს გაცილებით მეტი ხმა მიუღიათ ვიდრე მენშევიკ-ობორონცებს. ასეთი დამარცხება ვერ მოუნელებიათ ცრუ სოციალისტ მენშევიკებს და ზოგიერთი ქალბატონებისა და ვაჭბატონების დახმარებით სოფლათ ხაზს ავრცელებენ, რომ ვისაც ბოლშევიკებისთვის ხმა მიუცია „დაღუპულან“ რადგან ბალშევიკები სოციალ-დემოკრატები არ არიან და პროვოკატორ-შანტაჟისტები არიანო“.

აი ნიმუში ზნეობრივი დაცემისა და სიკოტრისა. ყოველივე ამის შემდეგ გამოდგებიან ჩვენი ცრუ სოციალისტები მენშევიკ-ობორონცები და დაგვიყენებენ რწმუნებას, რომ თქვენს წინააღმდეგ არავითარ პროვოკაციას არ ვეწეოთ ხალხშიო.

მაშ რა არის ეს, თუ არა პროვოკაცია?

ჩვენ წინადადებას ვაძლევეთ ამ ვაჭბატონებს და ქალბატონებს, ნუ აშინებენ მშვიდობიან მცხოვრებთ და ნუ ავრცელებენ ასეთ პოხერს ს. დ. ბოლშევიკების წინააღმდეგ, თორემ ყველა ასეთი „პატრიოტის“ წეურების სახელსა და გვარს გავზეთის ფურცლებზე გიმოვაქვეყნებთ და შესაფერ პასუხს მოვისთხოვთ მათ.

ჩვენ ღრმათა ვართ დარწმუნებული, რომ იმ მცხოვრებლებმა, რომლებმაც ნამდვილ სოციალ დემოკრატებს—ბალშევიკებს მისცა ხმა და არა ცრუ სოციალ-დემ. მენშევიკებს, რომლებმაც თვიანთი ბურჟუაზიასთან შეთანხმებით ქვეყანა დაღუპვის კარამდე მიიყვანეს, არ აყვებიან ქუჩის პოპიკანა ქალბატონებს და არა მკითხე გამგე ვაჭბატონებს, რომლებიც მოწადინებული არიან მხოლოთ და მხოლოთ საბელი გაუტბონ ნამდვილ მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველ სოციალ-დემოკრატ ბალშევიკებს.

გეკითხებით თქვენ, უასუხის ძგებლო მინშევიკებს განა ასეთი საშუალებით გსურთ ფონს გასცლა? განა მშვიდობიანი ცხოვრებლების დაშინებით გსურთ აღადგინოთ თქვენი დაცემული პრესტიჟი? უდა გრცხვენოდეთ სხვა რომ არა იყოს რა.

ზვირი ხტუმარი.

კვირას 10 დეკ. დანიშნულია საზოგადო კრება ყველა ტყავეულობის მომუშავეებისა, მიხაილოვის ქუჩა (სახელოსნო კლუბში) ვსთხოვთ აშხანაგებს უსათუოთ დაესწრონ.

პროფესიონალური კავშირის კომეტა.